RONDELI FOUNDATION

FRIEDRICH EBERT STIFTUNG



# რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს ვაჭრობის დინამიკა და სტრუქტურა

## უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიან შეჭრამდე და შემდგომ

მერაბ კაკულია
ნოდარ კაპანაძე

თბილისი
2023

# რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს ვაჭრობის დინამიკა და სტრუქტურა უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიან შეჭრამდე და შემდგომ

მერაბ კაკულია
ნოდარ კაპანაძე

ფოტო ყდაზე: Trucks waiting to get through the Georgia/Russia border crossing
© (CC BY-SA 2.0), Panegyrics of Granovetter (Sarah C. Murray)

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი
© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი | თბილისის ოფისი
ნინო რამიშვილის ქ., 1 ჩიხი, სახლი 1
0179 თბილისი | საქართველო
ტელ.: +995 32 225 07 28
http://southcaucasus.fes.de/

პუბლიკაციის შესაკვეთად დაგვიკავშირდით:
georgia@fes.de

ავტორის/ავტორების მიერ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფრიდრიხ ებერტის ფონდის და საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფრიდრიხ ებერტის ფონდი და საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი არ არიან პასუხისმგებელი დოკუმენტის შინაარსზე.

დაუშვებელია ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ გამოცემული მასალების ფონდის წერილობითი თანხმობის გარეშე კომერციული მიზნით გამოყენება.

# სარჩევი


1. შესავალი ........ 2
2. ინფორმაციის წყაროები ........ 3
3. ჩატარებული სამუშაოების აღწერა და კვლევის მეთოდი ........ 4
4. ექსპორტის სტრუქტურა ........ 5
5. იმპორტის სტრუქტურა ........ 8
6. სანქცირებული პროდუქცია ........ 13
7. სანქცირებული პროდუქციის ექსპორტი ........ 14
8. სანქცირებული პროდუქციის იმპორტი ........ 16
9. რეექსპორტი და რეიმპორტი ........ 20
10. დასკვნები ........ 23

დანართი #1 ........ 24

დანართი #2 ........ 27

დანართი #3 ........ 28

დანართი #4 ........ 30

გამოყენებული წყაროები ........ 34

# 1

# შესავალი

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთები უკრაინის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. ომის დაწყებას აშშ-ის, ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის და სხვა ქვეყნების მხრიდან მძაფრი რეაქცია მოჰყვა: რუსეთის ფედერაციის, როგორც აგრესორი ქვეყნის, წინააღმდეგ მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაწესდა, რაც ამ ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობების მკვეთრ შეზღუდვას ითვალისწინებს.

საერთაშორისო დონეზე უკრაინის მორალური, ჰუმანიტარული და პოლიტიკური მხარდაჭერის მიუხედავად, საქართველომ რუსეთის ფედერაციის მიმართ ინდივიდუალური სანქციები არ შემოიღო, რომელთა დაწესებაც, საქართველოს მთავრობის აზრით, საპასუხო სანქციების გათვალისწინებით, დიდ დარტყმას მიაყენებდა პანდემიით დასუსტებულ საქართველოს ეკონომიკას.

ქართულმა საზოგადოებამ ხელისუფლების ეს არჩევანი არაერთგვაროვნად აღიქვა. სოციოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერს ამ გადაწყვეტილებას, მაგრამ გარკვეულმა ნაწილმა იგი კაპიტულანტურად შეაფასა (GORBI, 2022).[1] ეს საკითხი კიდევ უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც უკრაინის ცალკეულმა წარმომადგენლებმა საქართველო საერთაშორისო სანქციების თავიდან აცილების ხელშეწყობაში დაადანაშაულეს (Unian, 2022).[2] მართალია, ბრალდება არ გასცილებია რიტორიკის ფარგლებს, თუმცა მან საერთაშორისო მედიის და პოლიტიკური წრეების ყურადღება მიიქცია, რაც საქართველოსთვის გარკვეულ რეპუტაციულ რისკებს შეიცავს. ამდენად, ჭეშმარიტების დადგენა ფაქტებზე დაფუძნებული კვლევის გზით ერთობ მნიშვნელოვანია.

წინამდებარე კვლევის მიზანია არსებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაირკვეს, გამოიყენება თუ არა საქართველოს ვაჭრობა რუსეთის ფედერაციასთან საერთაშორისო სანქციების თავის აცილების საშუალებად. კვლევა ეყრდნობა რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ექსპორტის (მათ შორის – რეექსპორტის) და ამ ქვეყნიდან იმპორტის (მათ შორის - რეიმპორტის) ანალიზს უკრაინაში რუსეთის ფედერაციის ფართომასშტაბიანი შეჭრის წინ და შემდეგ.

---

1 https://www.interpressnews.ge/ka/article/715057-gorbi-s-kvlevis-tanaxmad-respondentta-698-etanxmeba-mtavrobis-pozicias-ar-sheerteboda-rusetis-cinaagmdeg-mimartul-ekonomikur-sankciebs-xolo-ar-etanxmeba-271

2 https://www.unian.net/war/vlasti-gruzii-razreshili-kontrabandu-podsankcionnyh-tovarov-v-rossiyu-gur-novosti-vtorzheniya-rossii-na-ukrainu-11772412.html?fbclid=IwAR0WFIHghgn2-xNPPxCqgS4brd2K0B9hOlTeF1n0RScvNKA8O-w_tO5axWU

# 2

# ინფორმაციის წყაროები

კვლევაში გამოყენებული იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე განთავსებული საქართველოს საგარეო ვაჭრობის მონაცემები.[3] ამგვარ ინფორმაციას საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიც (საქსტატი) აქვეყნებს,[4] თუმცა უკანასკნელის მონაცემები დეტალიზებულია ცალ-ცალკე - ქვეყნების და პროდუქციის (HS კლასიფიკატორის 4- და 6-ნიშნა კოდების დონეზე) მიხედვით, მაგრამ არ ქვეყნდება ერთდროულად ორივე ნიშნით: ქვეყნისა და პროდუქციის სახეობების მიხედვით, რის შესაძლებლობასაც ფინანსთა სამინისტროს მონაცემები იძლევა.

ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტებებისათვის მივმართეთ როგორც სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, ისე ფინანსთა სამინისტროს.

ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტებებისათვის მივმართეთ როგორც სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს, ისე ფინანსთა სამინისტროს.

როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან გვაცნობეს, „ფინანსთა სამინისტროს საიტზე განთავსებული მონაცემები სრულად არ მოიცავს ექსპორტის და იმპორტის იმ საბაჟო რეჟიმებს (მაგალითად, რეექსპორტი, გადამუშავება), რასაც ჩვენ ვრთავთ ვაჭრობაში, შესაბამისად, მათი სიმცირე სავსებით ლოგიკურია“.

წინამდებარე კვლევის საჭიროებისთვის აღებულია 12- თვიანი პერიოდი - 2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლის ჩათვლით და იგი შედარებულია წინა 12-თვიან პერიოდთან (2021 წლის მარტიდან 2022 წლის თებერვლის ჩათვლით). დროის განზომილებაში ეს არის ზუსტად ერთი წელი ომამდე და ომის დაწყების შემდეგ

პარალელურად, სხვადასხვა წყაროდან ((იხილეთ ბმულები) მოვიძიეთ პროდუქტების ოფიციალური ჩამონათვალი, რომლით ვაჭრობაც ევროკავშირის და აშშ-ის მიერ რუსეთის ფედერაციის წინააღნდეგ დაწესებული სანქციების ფარგლებში შეიზღუდა (იხ. ბმულები).[5]

დიაგრამა 1

**მთლიანი სავაჭრო ბრუნვის წლიური დინამიკა ფინანსთა სამინისტროს და საქსტატის მონაცემებით (მილიონი $)**




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

---

3 https://www.mof.ge/export_importis_informacia

4 https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

5 https://www.consilium.europa.eu/en/policies/sanctions/restrictive-measures-against-russia-over-ukraine/sanctions-against-russia-explained/

# 3

# ჩატარებული სამუშაოების აღწერა და კვლევის მეთოდი

პირველ ეტაპზე მოხდა ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებულ მონაცემთა კონსოლიდირება ერთიან ბაზაში, სადაც მოცემულია საქართველოს იმპორტ-ექსპორტის მონაცემები, რომლებიც დეტალიზებული HS კლასიფიკატორის 11-ნიშნა კოდების დონეზე.

მომდევნო ეტაპზე გამოვყავით რუსეთის ფედერაციასთან ვაჭრობის (ექსპორტისა და იმპორტის) მონაცემები ზემოთ მითითებული პერიოდებისათვის და დავაჯგუფეთ  HS კლასიფიკატორის 4-ნიშნა კოდების დონეზე.

ამის შემდეგ გავიანგარიშეთ 4-ნიშნა კოდების დონეზე შესადარებელ პერიოდებს შორის კორელაციის კოეფიციენტი: 2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლამდე ექსპორტის სტრუქტურა შევადარეთ ანალოგიურ მონაცემებს 2021 წლის მარტიდან 2022 წლის თებერვლამდე პერიოდში. ანალოგიურად შევადარეთ იმპორტის სტრუქტურებიც. ამან შესაძლებლობა მოგვცა შეგვეფასებინა, თუ რამდენად შეიცვალა რუსეთის ფედერაციასთან იმპორტისა და ექსპორტის სტრუქტურა საომარი მოქმედებების დაწყებიდან ერთი წლის მანძილზე, ომის დაწყებამდე ზუსტად იმავე პერიოდთან შედარებით.

შემდეგ გამოვყავით ძირითადი სასაქონლო ჯგუფები, რომელთა იმპორტი ან ექსპორტი არსებითად შეიცვალა.

მომდევნო ეტაპზე სანქციებს დაქვემდებარებული საქონლის ჩამონათვალი დავიყვანეთ HS კლასიფიკატორის 11- ნიშნა კოდების დონეზე და შევადარეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში არსებულ ანალოგიურ სიას. გაირკვა, რომ შემოსავლების სამსახურში არსებული სია ჩვენ მიერ ვებ-სივრცეში მოძიებული სანქციებს დაქვემდებარებული საქონლის ოფიციალური ჩამონათვალის იდენტურია.

შეჯერების შედეგად მივიღეთ სრულყოფილი ჩამონათვალი, რომელშიც HS კლასიფიკატორის 11-ნიშნა კოდების დონეზე მოცემულია სანქცირებული პროდუქციის სრული სია.

ბოლო ეტაპზე საქართველოსა და რუსეთის საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა განვიხილეთ სანქცირებული პროდუქციის ჩამონათვალის კონტექსტში.

https://sanctionscanner.com/
https://ofac.treasury.gov/sanctions-programs-and-country-information
https://www.sanctionsmap.eu/#/main
https://www.trade.gov/russia-sanctions-and-export-controls
https://www.gov.uk/government/publications/russia-sanctions-guidance/russia-sanctions-guidance
https://finance.ec.europa.eu/eu-and-world/sanctions-restrictive-measures/sanctions-adopted-following-russias-military-aggression against-ukraine_en

# 4

# ექსპორტის სტრუქტურა

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით 2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლამდე პერიოდში, წინა შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში ექსპორტი 583 მილიონი აშშ დოლარიდან 582 მილიონ აშშ დოლარამდე ანუ 0.1 პროცენტით შემცირდა. შეიძლება ითქვას, რომ ექსპორტის მოცულობა თითქმის უცვლელია. ამავე დროს, შესადარ პერიოდებში ექსპორტის HS კლასიფიკატორის 4-ნიშნა კოდების დონეზე სტრუქტურებს შორის კორელაციის კოეფიციენტი 0.949 შეადგენს, რაც ომამდე და ომის დაწყების შემდეგ ექსპორტის სტრუქტურის თითქმის სრულ იდენტურობაზე მიუთითებს.

როგორც მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს შესადარ პერიოდებში ექსპორტირებული პროდუქციის წამყვანი ოცეულიდან 16 პროდუქტი უცვლელია. დანარჩენი ოთხი პროდუქტი:

1. კარტოფილი, ახალი ან შეყინული;
2. პომიდორი, ახალი ან შეყინული;
3. ყავის, ჩაის ან მატეს ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები და
4. სპილენძის ნარჩენები და ჯართი

2022-2023 წლების შესაბამის პერიოდში ჩაანაცვლა შემდეგმა ოთხმა პროდუქტმა:

1. ნაყოფი და მცენარის სხვა ნაწილები, სხვა წესით დამზადებული ან დაკონსერვებული;
2. კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი;
3. ნარევები გამოსაყენებელი სასმელების წარმოებაში;
4. მსუბუქი ავტომობილები.

აღსანიშნავია, რომ პროდუქციის ქვემოთ წარმოდგენილი ოცეული რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ექსპორტის 95 პროცენტს მოიცავს.

ცხრილი 1
**საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში ექსპორტირებული პროდუქციის პირველი ოცეული HS კლასიფიკატორის 4-ნიშნა კოდების მიხედვით**

| N | 2021 წლის მარტიდან 2022 წლის თებერვლის ჩათვლით | მლნ. $ | 2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლის ჩათვლით | მლნ. $ |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფეროშენადნობები | 183.62 | ყურძნის ნატურალური ღვინოები | 164.68 |
| 2 | ყურძნის ნატურალური ღვინოები | 136.57 | ფეროშენადნობები | 121.30 |
| 3 | მინერალური და მტკნარი წყლები | 62.06 | ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც. %-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები | 64.78 |
| 4 | ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც. %-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები | 41.20 | მინერალური და მტკნარი წყლები | 52.05 |
| 5 | წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით | 27.25 | წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით | 41.68 |
| 6 | გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი, ქლიავი და ღოღნოშო, ახალი | 26.67 | გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი, ქლიავი და ღოღნოშო, ახალი | 34.42 |

| N | 2021 წლის მარტიდან 2022 წლის თებერვლის ჩათვლით | მლნ. $ | 2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლის ჩათვლით | მლნ. $ |
|---|---|---|---|---|
| 7 | კარტოფილი, ახალი ან შეყინული | 15.55 | ნაყოფები სხვა, ახალი | 13.56 |
| 8 | ციტრუსების ნაყოფი ახალი ან გამხმარი | 14.36 | ელექტრული წყალგამახურებ-ლები | 11.11 |
| 9 | ნაყოფები სხვა, ახალი | 9.15 | ვაშლი, მსხალი და კომში, ახალი | 7.86 |
| 10 | ელექტრული წყალგამახურებლები | 7.53 | მანგანუმის ოქსიდები | 7.25 |
| 11 | ვაშლი, მსხალი და კომში, ახალი | 7.11 | ციტრუსების ნაყოფი ახალი ან გამხმარი | 7.18 |
| 12 | კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი | 4.74 | კოჭა, ზაფრანა, ურცი, დაფნის ფოთოლი, კარი და სხვა სანელებ-ლები | 5.52 |
| 13 | მანგანუმის ოქსიდები | 4.15 | ხილისა და ბოსტნეულის წვენები | 4.24 |
| 14 | ნარჩენები და ჯართი სპილენძისა | 4.08 | კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი | 4.12 |
| 15 | კოჭა, ზაფრანა, ურცი, დაფნის ფოთოლი, კარი და სხვა სანელებლები | 3.90 | კვების პროდუქტები, სხვა ადგი-ლას დაუსახელებელი | 2.51 |
| 16 | ხილისა და ბოსტნეულის წვენები | 2.64 | ნარევები გამოსაყენებელი სასმე-ლების წარმოებაში | 2.40 |
| 17 | პომიდორი, ახალი ან შეყინული | 2.62 | ნაყოფი და მცენარის სხვა ნაწი-ლები, სხვა წესით დამზადებული ან დაკონსერვებული | 2.19 |
| 18 | ბოსტნეული სხვა, ახალი ან შეყინული | 2.25 | ხელსაწყოები და მოწყობილობები მედიცინაში ან ვეტერინარიაში გამოსაყენებელი | 2.17 |
| 19 | ყავის, ჩაის ან მატეს ექსტრაქტები, ესენ-ციები და კონცენტრატები | 2.05 | მსუბუქი ავტომობილები | 1.91 |
| 20 | ხელსაწყოები და მოწყობილობები მედიცინაში ან ვეტერინარიაში გამოსა-ყენებელი | 1.94 | ბოსტნეული სხვა, ახალი ან შეყი-ნული | 1.82 |
| | **პირველი ოცეული, სულ** | **559.44** | **პირველი ოცეული, სულ** | **552.74** |
| | **ექსპორტი რუსეთში, სულ** | **582.72** | **ექსპორტი რუსეთში, სულ** | **581.95** |
| | **პირველი ოცეულის წილი მთლიანი ექსპორტიდან** | **96%** | **პირველი ოცეულის წილი მთლი-ანი ექსპორტიდან** | **95%** |

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორთა გაანგარიშებები.

მნიშვნელოვანია, თუ როგორ შეიცვალა ძირითადი საექსპორტო პროდუქციის მოცულობა შესადარ პერიოდებში.

ყველაზე უფრო საგრძნობი ფეროშენადნობების ექსპორტის 34 პროცენტით შემცირება იყო, რისი შეწონილი შემამცირებელი ეფექტი 7.1 პროცენტია. ასევე მნიშვნელოვანი იყო მინერალური წყლების ექსპორტის შემცირების ნეგატიური ეფექტიც, რომელმაც 16 პროცენტი შეადგინა. შემცირდა წამყვანი ოცეულის სხვა პროდუქციის ექსპორტიც, მაგრამ მათი მცირე მოცულობიდან გამომდინარე, ნეგატიური ეფექტი დაბალი იყო.

შესადარ პერიოდებში ყველაზე მნიშვნელოვანი სპირტის ექსპორტის 57 პროცენტით ზრდა იყო. ამავე თანრიგის იყო ღვინის ექსპორტის 21 პროცენტით ზრდაც. განსაკუთრებით აღსანიშნავი ტკბილი და გაზიანი სასმელების ექსპორტის 53 პროცენტით ზრდაა, რომლის შეწონილი ეფექტიც 3.8 პროცენტს შეადგენს. ყველა ეს პროდუქტი ადგილობრივი წარმოებისაა და რუსეთში ტრადიციული ექსპორტის კატეგორიებს განეკუთვნება. ჩამოთვლილი პროდუქტებიდან, რომელთა ექსპორტის ზრდაც დაფიქსირდა, არცერთი არ მიეკუთვნება სამხედრო ან ორმაგი დანიშნულების პროდუქციას.

ჩამოთვლილი პროდუქტებიდან ფეროშენადნობები ერთადერთია, რომელიც სამხედრო დანიშნულებით შეიძლება იქნას გამოყენებული, თუმცა ამ პროდუქციის ექსპორტიც რუსეთის ფედერაციაში საკვლევ პერიოდში 34 პროცენტითაა შემცირებული.

დიაგრამა 2
**ექსპორტის წამყვანი ოცი პროდუქტის მოცულობის ცვლილება ომამდე და ომის დაწყების შემდეგ**




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორთა გაანგარიშებები.

# 5

# იმპორტის სტრუქტურა

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლამდე პერიოდში, წინა შესაბამის პერიოდთან შედარებით, რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში იმპორტი 1,035 მილიონი აშშ დოლარიდან 1,879 მილიონ აშშ დოლარამდე, ანუ 82 პროცენტით გაიზარდა. შესადარ პერიოდებში იმპორტის HS კლასიფიკატორის 4-ნიშნა კოდების დონეზე სტრუქტურებს შორის კორელაციის კოეფიციენტი 0.824 შეადგენს, რაც შესადარ პერიოდებში იმპორტის სტრუქტურის დიდ მსგავსებაზე მიუთითებს.

როგორც ქვემოთ მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, შესადარ პერიოდებში (ომამდე და ომის დაწყების შემდეგ) იმპორტირებული პროდუქციის წამყვანი სასაქონლო ჯგუფების ოცეულიდან 15 პროდუქტი უცვლელია. დარჩენილი 5 პროდუქტი, კერძოდ:

1. სატელეფონო აპარატები, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი ტელეფონების ჩათვლით;
2. სიმინდი;
3. აპარატურა მიმღები სატელევიზიო კავშირისათვის;
4. საშუალებები თმებისათვის და
5. ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები; სარეცხი და საწმენდი საშუალებები

2022-2023 წლების შესაბამის პერიოდში ჩაანაცვლა შემდეგმა ხუთმა პროდუქტმა:

1. წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე;
2. ქვანახშირი, მყარი საწვავის სახეობები, მიღებული ქვანახშირისაგან;
3. ნახევარფაბრიკატები ნახშირბადიანი ფოლადისაგან;
4. ელექტროენერგია;
5. ფანერა დაწებებული, პანელები ხის დაფანერებული და ანალოგიური მასალები შერეული მერქნისაგან.

ცხრილი 2
**რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის პირველი ოცეული HS კლასიფიკატორის 4 ნიშნა კოდების მიხედვით**

| N | 2021 წლის მარტიდან 2022 წლის თებერვლის ჩათვლით | მლნ. $ | 2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლის ჩათვლით | მლნ. $ |
|---|---|---|---|---|
| 1 | ნავთობი და ნავთობპროდუქტები | 140.07 | ნავთობი და ნავთობპროდუქტები | 704.52 |
| 2 | ხორბალი და მესლინი | 81.23 | ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა | 79.52 |
| 3 | ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა | 76.02 | ფქვილი ხორბლის ან ხორბალ-ჭვავისა | 67.18 |
| 4 | ზეთი მზესუმზირასი, ალისარჩულისა ან ბამბისა და მათი ფრაქციები | 39.04 | ხორბალი და მესლინი | 65.27 |
| 5 | სატელეფონო აპარატები, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი ტელეფონების ჩათვლით | 37.93 | კოქსი და ნახევარკოქსი ქვანახშირის, ლიგნიტის ან ტორფისაგან, ნახშირი რეტორტისა | 58.00 |
| 6 | კოქსი და ნახევარკოქსი ქვანახშირის, ლიგნიტის ან ტორფისაგან, ნახშირი რეტორტისა | 28.20 | ბოცები, ბოთლები და სხვა მინის ტევადობები | 44.79 |
| 7 | შოკოლადი და კაკაოს შემცველი კვების სხვა მზა პროდუქტები | 26.23 | ზეთი მზესუმზირისა, ალისარჩულისა ან ბამბისა და მათი ფრაქციები | 43.42 |

| N | 2021 წლის მარტიდან 2022 წლის თებერვლის ჩათვლით | მლნ. $ | 2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლის ჩათვლით | მლნ. $ |
|---|---|---|---|---|
| 8 | მარგარინი | 23.70 | წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე | 43.37 |
| 9 | პური, ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, შაქარლამა, ნამცხვარი და სხვა პურფუნთუშეული | 19.85 | დამუშავებული მარცვლოვნების მარცვალი | 37.29 |
| 10 | ბოცები, ბოთლები და სხვა მინის ტევადობები | 19.35 | შოკოლადი და კაკაოს შემცველი კვების სხვა მზა პროდუქტები | 31.11 |
| 11 | ფქვილი ხორბლის ან ხორბალ-ჭვავისა | 18.55 | მარგარინი | 28.94 |
| 12 | სიმინდი | 16.20 | პური, ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, შაქარლამა, ნამცხვარი და სხვა პურფუნთუშეული | 26.68 |
| 13 | აპარატურა მიმღები სატელევიზიო კავშირისათვის | 13.76 | ქვანახშირი, მყარი საწვავის სახეობები, მიღებული ქვანახშირისაგან | 26.42 |
| 14 | პროდუქტები საწებლების მოსამზადებლად და მზა საწებლები, მდოგვი | 13.63 | ღორები ცოცხალი | 21.88 |
| 15 | სამკურნალო საშუალებები დაფასოებული | 13.15 | ნახევარფაბრიკატები ნახშირბადიანი ფოლადისაგან | 21.75 |
| 16 | ყავის, ჩაის ან მატეს ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები | 11.95 | სამკურნალო საშუალებები დაფასოებული | 21.68 |
| 17 | დამუშავებული მარცვლოვანების მარცვალი | 11.88 | ელექტროენერგია | 20.96 |
| 18 | ღორები ცოცხალი | 9.87 | პროდუქტები საწებლების მოსამზადებლად და მზა საწებლები, მდოგვი | 19.64 |
| 19 | საშუალებები თმებისათვის | 9.25 | ყავის, ჩაის ან მატეს ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები | 18.25 |
| 20 | ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები; სარეცხი და საწმენდი საშუალებები | 9.16 | ფანერა დაწებებული, პანელები ხის დაფანერებული და ანალოგიური მასალები შერეული მერქნისაგან | 13.58 |
| | **პირველი ოცეული, სულ** | **619.04** | **პირველი ოცეული, სულ** | **1,394.26** |
| | **იმპორტი რუსეთიდან, სულ** | **1,034.99** | **იმპორტი რუსეთიდან, სულ** | **1,878.70** |
| | **პირველი ოცეული მთლიანი იმპორტიდან** | **60%** | **პირველი ოცეული მთლიანი იმპორტიდან** | **74%** |

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორთა გაანგარიშებები.

მნიშვნელოვანია, თუ როგორ შეიცვალა ძირითადი საიმპორტო პროდუქციის მოცულობა შესადარ პერიოდებში.

იმპორტის ზრდაში ყველაზე დიდი წონა ნავთობპროდუქტების იმპორტის 403 პროცენტით ზრდას ჰქონდა. ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი კი ფოლადის წნელების იმპორტში გამოიკვეთა (1493 პროცენტი), რაც მისი დაბალი საბაზო მნიშვნელობითაა განპირობებული. ამ ზრდის შეწონილი ეფექტი ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ნავთობპროდუქტების იმპორტის შემთხვევაში იყო.

მნიშვნელოვნად გაიზარდა მარცვლეულის პირველადი გადამუშავების პროდუქტების (ფქვილი და დამუშავებული მარცვლეულის იმპორტი (შესაბამისად, 262 და 309 პროცენტი)).

მკვეთრად შემცირდა სატელეფონო აპარატების (94.5 პროცენტით) და სატელევიზიო აპარატურის (80.6 პროცენტით) იმპორტი.

დიაგრამა 3

**იმპორტის წამყვანი ოცი პროდუქტის მოცულობის ცვლილება ომამდე და ომის დაწყების შემდეგ**




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორთა გაანგარიშებები.

შავი მეტალურგიის პროდუქციის იმპორტის არსებითი ზრდა სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ომამდე ამ პროდუქციის ყველაზე მსხვილი მომწოდებელი უკრაინა იყო, საიდანაც მოწოდება ომის გამო შეწყვეტილია. აღნიშნული პროდუქციის მოწოდების ალტერნატივა კი რუსეთის ფედერაციაა, რომელმაც ჩაანაცვლა კიდეც საქართველოს სამშენებლო სექტორში უკრაინული წარმოების შავი მეტალურგიის პროდუქტები.

რაც შეეხება რუსეთიდან ხორბლის პირველადი გადამუშავების პროდუქტების იმპორტის მკვეთრ ზრდას, მისი მთავარი მიზეზი ამავე ქვეყნიდან დაუმუშავებელი ხორბლის იმპორტის 19 პროცენტით კლებაა. რუსეთის ფედერაცია იყო და რჩება საქართველოში იმპორტირებული ხორბლის მთავარ წყაროდ.

დიაგრამა 4
**ხორბლისა და ფქვილის იმპორტის სტრუქტურის დინამიკა საქართველოში პარტნიორი ქვეყნების მიხედვით**




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორთა გაანგარიშებები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მკვეთრად გაიზარდა ნავთობპროდუქტების იმპორტი. საქმე იმაშია, რომ სანქციების შედეგად გაიაფებული ნავთობპროდუქტების გაზრდილმა მოწოდებამ საქართველოში საწვავის გაიაფება გამოიწვია, რასაც საქსტატის მონაცემებიც ადასტურებს.

დიაგრამა 5
**ბენზინის ფასების ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით**




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საწვავის გაიაფება ინფლაციის ტემპის შენელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია და ეს შესაბამისი ჯგუფის საქონლისა და მომსახურების[6] ფასების ზრდის ტემპის შენელებაშიც აისახა. ქვემოთ მოტანილი მონაცემები აჩვენებს, რომ აღნიშნული ჯგუფის საქონელზე ფასების მატების მხრივ, საქართველო არცთუ ისე სავალალო მდგომარეობაშია.

დიაგრამა 6
**საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები: ფასების წლიური ზრდა 2023 თებერვლის მდგომარეობით**




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი: https://data.imf.org/regular.aspx?key=61015894

6 წყარო: COICOP ჯგუფი: საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები. https://data.imf.org/regular.aspx?key=61015894

# 6

# სანქცირებული პროდუქცია

მოძიებული მონაცემებით, რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სხვადასხვა დროს ამოქმედებული სანქციების შედეგად ევროკავშირმა რუსეთის ფედერაციაში HS კლასიფიკატორის 11-ნიშნა კოდების დონეზე დასახელებული 10,057 სახეობის პროდუქციიდან 3,866 დასახელების პროდუქციის ექსპორტი აკრძალა ან შეზღუდა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სანქცია 2,089 პროდუქტის ექსპორტზე შემოიღო. საერთო ჯამში, აშშ-დან ან ევროკავშირიდან რუსეთის ფედერაციაში სანქცირებულია 4,356 დასახელების პროდუქცია.

HS კლასიფიკატორის 11-ნიშნა კოდების დონეზე დასახელებული 10,057 სახეობის პროდუქციიდან ევროკავშირმა შეზღუდა ან აკრძალა 3,274-ის იმპორტი რუსეთის ფედერაციიდან. იგივე ტიპის სანქცია აშშ-მ 901 დასახელებაზე გამოაცხადა. საერთო ჯამში, აშშ-ში ან ევროკავშირში რუსეთის ფედერაციიდან სანქცირებულია 3,965 დასახელების პროდუქციის იმპორტი.

დიაგრამა 7

**ევროკავშირისა და აშშ-ს მიერ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების შეზღუდვა HS კლასიფიკაციის 11 ნიშნა კოდების დონეზე არსებული 10,057 დასახელების პროდუციიდან**




წყარო: მითითებული ბმულები, ავტორთა გაანგარიშებები.xxxxxxxxxxx

# 7

# სანქცირებული პროდუქციის ექსპორტი

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლამდე პერიოდში საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში 582 მილიონი დოლარის ექსპორტი განხორციელდა, საიდანაც 334 მილიონი დოლარი, ანუ მთლიანი ექსპორტის 57 პროცენტი, იმ სასაქონლო პოზიციების წილად მოდიოდა, რომლებსაც არც ევროკავშირის და არც აშშ-ის მიერ რუსეთში ექსპორტზე დაწესებული სანქციები არ შეეხებოდა. 248 მილიონი დოლარი, ანუ მთლიანი ექსპორტის 43 პროცენტი, იმ პროდუქციის წილად მოდიოდა, რომლებიც ევროკავშირის ან აშშ-ის მიერ სანქცირებული პროდუქტების სიაშია. ხსენებული 248 მილიონი დოლარიდან 11 მილიონი (მთლიანი ექსპორტის 2%) მხოლოდ ევროკავშირის მიერ სანქცირებული პროდუქტების წილად მოდის, 163 მილიონი (მთლიანი ექსპორტის 28%) – მხოლოდ აშშ-ის, ხოლო 74 მილიონი (მთლიანი ექსპორტის 13%), როგორც ევროკავშირის, ისე აშშ-ის მიერ სანქცირებული პროდუქტების წილად.

ცხრილი 3
**2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლის ჩათვლით საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული 582 მილიონი აშშ დოლარის პროდუქციის განაწილება რუსეთის მიმართ გამოცხადებული სანქციების მიხედვით**

| | მლნ. $ | პროცენტი |
|---|---|---|
| **ექსპორტირებულია, სულ** | **582.0** | **100%** |
| მათ შორის: | | |
| არ არის სანქცირებული | 333.5 | 57% |
| სანქცირებულია, სულ | 248.4 | 43% |
| მათ შორის: | | |
| სანქცირებულია მხოლოდ ევროკავშირის მიერ | 10.9 | 2% |
| სანქცირებულია მხოლოდ აშშ-ის მიერ | 163.5 | 28% |
| სანქცირებულია ევროკავშირის და აშშ-ის მიერ | 74.1 | 13% |

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორთა გაანგარიშებები.

საყურადღებოა სანქცირებული პროდუქტების საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში ექსპორტის სტრუქტურა სახეობის მიხედვით. როგორც მონაცემები გვიჩვენებენ სანქცირებული პროდუქტების ექსპორტის 66 პროცენტი (165 მილიონი აშშ დოლარი) ღვინის წილად მოდის. 26 პროცენტი (65 მილიონი აშშ დოლარი) სპირტის წილია, ხოლო 3 პროცენტი (7 მილიონი აშშ დოლარი) მანგანუმის ოქსიდებია. ეს ის ტრადიციული სასაქონლო პოზიციებია, რომელთა ექსპორტიც ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. არსებული მონაცემებით, 2022 წელს ქართული ღვინის ექსპორტის თითქმის 70 პროცენტი სწორედ რუსეთის ფედერაციის წილად მოდიოდა. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საქართველოს მთავრობამ უარი განაცხადა მიერთებოდა რუსეთის ფედერაციის, როგორც აგრესორი ქვეყნის, მიმართ დაწესებულ სანქციებს.

მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი სამი პროდუქტის წილად მთლიანად სანქცირებული ექსპორტის 95 პროცენტი მოდის. იმავე სამი პროდუქტის წილი 2021 წლის მარტიდან 2022 წლის თებერვლის ჩათვლით, 12-თვიან პერიოდშიც, 95 პროცენტი იყო. დარჩენილი 5 პროცენტი HS კლასიფიკატორის 4-ნიშნა კოდების მიხედვით, 105 სასაქონლო პოზიციაზეა გადანაწილებული და თითოეული მათგანის წილი, საშუალოდ, 0.04 პროცენტია.

ცხრილი 4
**2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლის ჩათვლით ევროკავშირის ან აშშ-ის მიერ სანქცირებული, საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული პროდუქციის განაწილება HS კლასიფიკატორის 4-ნიშნა კოდების მიხედვით**

| | მლნ. $ | პროცენტი |
|---|---|---|
| **ექსპორტირებულია, სულ** | **248.4** | **100%** |
| მათ შორის: | | |
| ყურძნის ნატურალური ღვინოები | 164.7 | 66% |
| ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები | 64.8 | 26% |
| მანგანუმის ოქსიდები | 7.3 | 3% |
| დანარჩენი | 11.7 | 5% |

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორთა გაანგარიშებები.

ამ 105 დასახელების პროდუქციიდან მოცულობით მხოლოდ სამი პროდუქტია, რომლის ექსპორტიც 1 მილიონ აშშ დოლარს აღემატება. ეს პროდუქტებია:

- სხვა ადგილას დაუსახელებელი კვების პროდუქტები, რომლის ექსპორტიც წინა წლებშიც ფიქსირდებოდა;
- მსუბუქი ავტომობილები, რომელიც წინა წლებში დაფიქსირებული არ ყოფილა და ამ პოზიციის გაჩენა მხოლოდ ლოგისტიკური კავშირების გადალაგების შედეგია, თუმცა მოცულობა უმნიშვნელოა;
- ნარევები, გამოსაყენებული სასმელების წარმოებაში, რომლის ექსპორტიც წინა წლებშიც ფიქსირდებოდა.

დეტალური ჩამონათვალი იხილეთ დანართ #1-ში.

აქვე შევნიშნავთ, რომ მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 0.2 პროცენტი მოდის იმ პროდუქტების წილად, რომლებსაც აშშ და ევროკავშირის მიერ შემუშავებულ პაკეტებში მინიჭებული აქვს ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კოდი. აღნიშნული 0.2 პროცენტი HS კლასიფიკატორის 4-ნიშნა კოდების მიხედვით 17 სასაქონლო პოზიციაზეა გადანაწილებული. აქედან ყველაზე დიდი მოცულობით ხელოვნური და მზა ცვილების სასაქონლო ჯგუფი გამოირჩევა, რომლის წილიც მთლიანი ექსპორტის 0.1 პროცენტს შეადგენს. დარჩენილი 16 პოზიციის საშუალო მოცულობა 17 ათასი აშშ დოლარია, ხოლო საშუალო წილი – 0.003 პროცენტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ტიპის პროდუქციის ექსპორტი, შესადარ პერიოდთან შედარებით, 23.6 პროცენტითაა შემცირებული

დეტალური ჩამონათვალი იხილეთ დანართ #2-ში.

ამრიგად, ბრალდება, რომ საქართველო რუსეთში სამხედრო ან ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის ჰაბად იქცა, საფუძველს სრულიად მოკლებულია.

# 8

# სანქცირებული პროდუქციის იმპორტი

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლამდე პერიოდში რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში 1,879 მილიონი აშშ დოლარის იმპორტი განხორციელდა, საიდანაც 629 მილიონი აშშ დოლარი, ანუ მთლიანი იმპორტის 33 პროცენტი, იმ სასაქონლო პოზიციების წილად მოდიოდა, რომლებსაც არც ევროკავშირის და არც აშშ-ის მიერ რუსეთიდან იმპორტის მიმართ დაწესებული სანქციები არ ეხებოდა. 1,250 მილიონი აშშ დოლარი, ანუ მთლიანი იმპორტის 67 პროცენტი, იმ პროდუქციის წილად მოდიოდა, რომლებიც ევროკავშირის ან აშშ-ის მიერ სანქცირებული პროდუქტების სიაშია.

ხსენებული 1,250 მილიონი აშშ დოლარიდან 334 მილიონი (მთლიანი იმპორტის 18%) მხოლოდ ევროკავშირის მიერ სანქცირებული პროდუქტების წილად მოდის, 112 მილიონი (მთლიანი იმპორტის 6%) – მხოლოდ აშშ-ის, ხოლო 805 მილიონი (მთლიანი ექსპორტის 43%) – როგორც ევროკავშირის, ისე აშშ-ის მიერ სანქცირებული პროდუქტების წილად.

ცხრილი 5
**2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლის ჩათვლით რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული 1,879 მილიონი აშშ დოლარის პროდუქციის განაწილება რუსეთის მიმართ გამოცხადებული სანქციების მიხედვით**

| | მლნ. $ | პროცენტი |
|---|---|---|
| **იმპორტირებულია, სულ** | **1,878.7** | **100%** |
| მათ შორის: | | |
| არ არის სანქცირებული | 628.5 | 33% |
| სანქცირებულია, სულ | 1,250.2 | 67% |
| მათ შორის: | | |
| სანქცირებულია მხოლოდ ევროკავშირის მიერ | 333.8 | 18% |
| სანქცირებულია მხოლოდ აშშ-ის მიერ | 111.7 | 6% |
| სანქცირებულია ევროკავშირის და აშშ-ის მიერ | 804.7 | 43% |

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორთა გაანგარიშებები.

სანქცირებული პროდუქციის იმპორტის 56.4 პროცენტი (705 მილიონი აშშ დოლარი) ნავთობპროდუქტების წილად მოდიოდა. 6.4 პროცენტი იყო ბუნებრივი აირის წილი. ყველა სხვა დანარჩენი პროდუქციის წილი 5 პროცენტზე ნაკლებია.

ამ შემთხვევაში მთავარი პროდუქციის მოცულობაზე მნიშვნელოვანი პროდუქტების ჩამონათვალია. როგორც ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, იმპორტის უკლებლივ ყველა სანქცირებული სასაქონლო პოზიცია რუსეთიდან საქართველოში ტრადიციული იმპორტის კატეგორიას წარმოადგენს. რაიმე განსაკუთრებული სიახლე ამ ჩამონათვალში არ შეინიშნება.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა თითოეული სასაქონლო პოზიციის მიხედვით იმ ზომისაა, რომ ის არ შეიძლება იყოს იმპორტირებული სანქციების გვერდის ავლის მიზნით: მოცულობა იმდენად მცირეა, რომ ის მხოლოდ შიდა ბაზრისთვის შეიძლება იყოს განკუთვნილი.

ცხრილი 6

**რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში იმპორტირებული სანქცირებული პროდუქციის პირველი ოცეულის HS კლასიფიკატორის 4-ნიშნა კოდების მიხედვით მოცულობა და სტრუქტურა 2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში**

| | მლნ. $ | % |
|---|---|---|
| **სულ** | **1,250.2** | **100%** |
| ნავთობი და ნავთობპროდუქტები | 704.5 | 56.4% |
| ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა | 79.5 | 6.4% |
| კოქსი და ნახევარკოქსი ქვანახშირის, ლიგნიტის ან ტორფისაგან, ნახშირი რეტორტისა | 58.0 | 4.6% |
| ბოცები, ბოთლები და სხვა მინის ტევადობები | 44.8 | 3.6% |
| წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე | 43.4 | 3.5% |
| ქვანახშირი, მყარი საწვავის სახეობები, მიღებული ქვანახშირისაგან | 26.4 | 2.1% |
| ნახევარფაბრიკატები ნახშირბადიანი ფოლადისაგან | 21.7 | 1.7% |
| ელექტროენერგია | 21.0 | 1.7% |
| ფანერა დაწებებული, პანელები ხის დაფანერებული და ანალოგიური მასალები შერეული მერქნისაგან | 13.6 | 1.1% |
| ნავთობის კოქსი, ნავთობის ბიტუმი და ნავთობის გადამუშავების სხვა ნარჩენები | 9.2 | 0.7% |
| მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, სხვა, შავი ლითონებისაგან | 7.7 | 0.6% |
| საშუალებები თმებისათვის | 7.5 | 0.6% |
| ნაწარმი ასფალტის ან ანალოგიური მასალებისაგან | 7.2 | 0.6% |
| ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები; სარეცხი და საწმენდი საშუალებები | **7.1** | **0.6%** |
| მინა თერმულად გაპრიალებული და მინა მქრქალი ან გაპრიალებული ზედაპირით | **6.9** | **0.6%** |
| სამშენებლო ნაწარმი ხისა | **6.9** | **0.6%** |
| ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან სიგანით 600 მმ ან მეტი, ცხლად ნაგლინი | **6.8** | **0.5%** |
| სასუქები მინერალური ან ქიმიური აზოტის, ფოსფორის და კალიუმის შემცველობით | **6.6** | **0.5%** |
| კუთხოვანები, ფასონური და სპეციალური პროფილები ნახშირბადიანი ფოლადისაგან | **6.2** | **0.5%** |
| ნაწარმი შავი ლითონებისაგან, გამოსაყენებელი სარკინიგზო და ტრამვაის ლიანდაგებისათვის | **6.2** | **0.5%** |
| კოსმეტიკური საშუალებები ან მაკიაჟისა და კანის მოვლის საშუალებები | **6.1** | **0.5%** |
| დახერხილი ხე-ტყე დაპროფილებული პაგონაჟის სახით | **5.8** | **0.5%** |
| კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი | **5.8** | **0.5%** |
| ფილები მერქანბოჭკოვანი მერქნის ან სხვა გამერქნებული მასალებისაგან | **5.6** | **0.4%** |
| წნელები ცხლად ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან თავისუფლად დახვეულ ბუხტებად | **5.0** | **0.4%** |
| საპონი | **4.8** | **0.4%** |
| ნაწარმი ქვის ან სხვა მინერალური ნივთიერებებისაგან | **4.8** | **0.4%** |
| ფილები მერქან-ბურბუშელისა | **4.6** | **0.4%** |
| ქაღალდი და მუყაო არაცარცირებული გამოსაყენებელი საწერად, საბეჭდად ან სხვა გრაფიკული მიზნებისათვის | **4.5** | **0.4%** |
| ქაღალდი და მუყაო არაცარცირებული სხვა, რულონებად ან ფურცლებად | **4.5** | **0.4%** |
| მეტალოკონსტრუქციები და მათი ნაწილები შავი ლითონებისაგან | **4.2** | **0.3%** |
| ფილები, ფურცლები, ფირები, კილიტა და ზოლი პოლიმერული მასალებისაგან | **4.0** | **0.3%** |
| მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები პლასტმასებისაგან | **3.9** | **0.3%** |
| საშუალებები პირის ღრუს ან კბილების ჰიგიენისათვის | **3.7** | **0.3%** |
| დანარჩენი | **91.7** | **7.3%** |

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორთა გაანგარიშებები.

ერთადერთი პროდუქცია, რომელზეც საქართველოს გავლით, სანქციების გვერდის ავლით ექსპორტის ეჭვი შეიძლება გაჩნდეს, ნავთობპროდუქტებია, რომლის იმპორტიც საანგარიშო პერიოდში 5-ჯერ გაიზარდა და 704.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. შეიძლება გვეფიქრა, რომ ამ ნავთობის დიდი ნაწილი სხვა ქვეყნებში გასატანად იქნა იმპორტირებული.

როგორც ქვემოთ მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, 2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლის ჩათვლით საქართველოდან 23 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ნავთობპროდუქტები იქნა ექსპორტირებული, რაც წინა შესაბამის პერიოდთან შედარებით, 14 მილიონით მეტია, მაგრამ იმავე პერიოდში იმპორტის ზრდის ტემპიც და მოცულობაც თანრიგით მეტია: 2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლის ჩათვლით ნავთობპროდუქტების იმპორტმა 403 მილიონი აშშ დოლარით მოიმატა.

ამდენად, საქართველოდან ნავთობპროდუქტების ექსპორტი 2022[7] წელს ოდნავ არის გაზრდილი, მაგრამ მისი მასშტაბი არანაირად არ შეესაბამება რუსეთიდან ნავთობპროდუქტების იმპორტის ზრდის ტემპს, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსეთიდან იმპორტირებული ნავთობპროდუქტები თითქმის მთლიანად ადგილობრივი მოხმარებისთვისაა გამიზნული.

დიაგრამა 8
**ნავთობპროდუქტების იმპორტისა და ექსპორტის დინამიკა მარტიდან თებერვლის ჩათვლით 12 თვიან პერიოდებში (მილიონი $)**




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორთა გაანგარიშებები.

დიდი ალბათობით რუსეთიდან ნავთობპროდუქტების იმპორტის ზრდა მისმა ფასმა განაპირობა, რომელიც, სხვებთან შედარებით, დაბალი იყო. ამასვე ადასტურებს ქვეყნების მიხედვით ნავთობპროდუქტების იმპორტის სტრუქტურა, სადაც ნათლად ჩანს 2022 წელს რუსეთის ხვედრითი წონის მკვეთრი ზრდა სხვა ქვეყნებიდან ნავთობის იმპორტის შემცირების ხარჯზე.

7 იგულისხმება მარტიდან თებერვლის ჩათვლით 12-თვიანი პერიოდი.

დიაგრამა 9

**ნავთობპროდუქტების იმპორტის ქვეყნების მიხედვით სტრუქტურის წლიური დინამიკა (მილიონი $)**




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ავტორთა გაანგარიშებები.

საერთო ჯამში უნდა ითქვას, რომ საქართველოში რუსეთიდან სანქცირებული პროდუქციის იმპორტი წინა წლების ტენდენციის ბუნებრივი გაგრძელებაა, იმპორტირებული პროდუქციის ნომენკლატურა კი უცვლელია.

საყურადღებოა ორი არსებითი გარემოება, რომლებიც მიმდინარე პროცესების ლოგიკაში ჯდება. ეს გარემოებებია:

1. შავი მეტალურგიის პროდუქციის იმპორტის ზრდა, რომლის მომწოდებელიც ტრადიციულად უკრაინა იყო, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ამ ქვეყნიდან იმპორტი ვეღარ ხერხდება, ხოლო ამ პროდუქციის ყველაზე უფრო რეალური ალტერნატიული წყარო რუსეთის ფედერაციაა. ამით უნდა აიხსნას საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, რომ არ დაეკეტა იმპორტის ეს წყარო, რაც დიდ ზარალს მიაყენებდა სამშენებლო სექტორს, რომელიც საქართველოს მშპ-ის მნიშვნელოვანი შემადგენელია.

2. ნავთობპროდუქტების იმპორტის 5-ჯერადი ზრდა, რომელიც შიდა ბაზრის მოხმარებისათვის განკუთვნილი აღმოჩნდა, როგორც ქვეყნების მიხედვით ამ პროდუქტების იმპორტის სტრუქტურამ გვიჩვენა. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ძნელად წარმოსადგენია, თუ რამდენად მოხერხდებოდა იმპორტის ამ წყაროს დივერსიფიცირება.

აქვე შევნიშნავთ, რომ მთლიანი იმპორტის მხოლოდ 1 პროცენტი მოდის იმ პროდუქტების წილად, რომლებსაც აშშ და ევროკავშირის მიერ შემუშავებულ სანქციების პაკეტებში მინიჭებული აქვთ ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კოდი. აღნიშნული პროდუქციიდან მხოლოდ სამია ისეთი, რომლის იმპორტის მოცულობაც 1 მილიონ აშშ დოლარს აღემატება. ეს პოზიციებია:

- მილები, მილაკები და ღრუ პროფილები, სხვა, შავი ლითონებისაგან, რომელიც წინა შესაბამის პერიოდშიც ზუსტად ასეთივე მოცულობით იყო იმპორტირებული;
- ნაწარმი ქვის ან სხვა მინერალური ნივთიერებებისაგან, რომელიც წინა შესაბამის პერიოდშიც ზუსტად ისეთივე მოცულობით იყო იმპორტირებული;
- სატელეფონო აპარატები, ფიჭური ქსელებისთვის ან სხვა უსადენო ქსელებისთვის განკუთვნილი, ტელეფონების ჩათვლით, რომლის იმპორტიც, შესაბამის პერიოდთან შედარებით, 95 პროცენტითაა შემცირებული.

ამ იმპორტის დანარჩენი მოცულობა HS კლასიფიკატორის 4- ნიშნა კოდების მიხედვით, 64 სასაქონლო პოზიციაზეა გადანაწილებული და საშუალოდ 850 ათას აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო მთლიან იმპორტში საშუალო წილი 0.007 პროცენტია.

მთლიანი იმპორტი, ამ ჩამონათვალის მიხედვით შესადარ პერიოდთან შედარებით, 65.5 პროცენტითაა შემცირებული.

დეტალური ჩამონათვალი იხილეთ დანართ #1-ში.

# 9

# რეექსპორტი და რეიმპორტი

სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან და ფინანსთა სამინისტროდან მიღებული განმარტებების თანახმად, ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე განთავსებული მონაცემების სტატისტიკაში არ აისახება დროებითი, დიპლომატიური, სატრანზიტო და სხვა ანალოგიური სახის ტვირთები. ამდენად, გარკვეული დაშვებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქსტატისა და ფინანსთა სამინისტროს მონაცემებს შორის არსებული განსხვავება სწორედ ამ ტვირთების წილად მოდის.

2022 წლის მარტიდან 2023 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში საქსტატისა და ფინანსთა სამინისტროს მონაცემებს შორის განსხვავება 105 მილიონი დოლარი იყო, რაც შეიძლება რუსეთის ფედერაციაში რეექსპორტის და ტრანზიტის მოცულობად მივიჩნიოთ, თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული პროდუქცია სანქციებს ექვემდებარება. ამასთან, საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა განგვიმარტეს, რომ ისინი ტრანზიტის პროცესშიც კი ამოწმებენ ტვირთების შესაბამისობას სანქციების პოლიტიკასთან.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ უკრაინის არხის ,,დაკეტვის'' შემდეგ რუსეთში შემავალი ტვირთების გარკვეული ნაწილი (უპირველეს ყოვლისა, არასანქცირებული) სავსებით შესაძლებელია, რომ საქართველოს მიმართულებით გადმომისამართებულიყო.
